წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი №24

ქ. თბილისი *26.03.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №01/2010 დადგენილების დამტკიცება.
2. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული პროფესორების ნოდარ ხადურისა და ირაკლი კოვზანაძისათვის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №16/2010 დადგენილების დამტკიცება.
3. "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №25/2010 დადგენილების დამტკიცება.
4. "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის

დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №26/2010 დადგენილების დამტკიცება.
5. "ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილების დამტკიცება.
6. "ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოს დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №28/2010 დადგენილების დამტკიცება.
7. "მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №29/2010 დადგენილების დამტკიცება.
8. "აკადემიური საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 233-ე, 2010 წლის 10 მარტის 25-ე, 26-ე და 27-ე დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №32/2010 დადგენილების დამტკიცება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

წარმომადგენლობითი საბჭო 18 წევრით;

ფაკულტეტების დეკანები, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული;

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა **კახაბერ ლორიამ** აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი

ცვლილებებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს №91 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც ძირითადად ეხება საკონკურსო ვადებს.

ამდენად, საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №01/2010 დადგენილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №01/2010 დადგენილება.

2. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული პროფესორების ნოდარ ხადურისა და ირაკლი კოვზანაძისათვის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №16/2010 დადგენილება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ხარაბაძემ აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ორ პროფესორს გაეწია რეკომენდაცია, რათა მათ მინიჭებოდათ მეცნიერ-მკვლევარის სტატუსი. ეს ვერ განხორციელდა, რადგან აკადემიური საბჭოს არ ქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. ამჯერად, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის №16/2010 დადგენილება, რომლითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრულ პროფესორებს ნოდარ ხადურსა და ირაკლი კოვზანაძეს განესაზღვრათ აკადემიური დატვირთვა – კვირაში 4 საათი სააუდიტორიო და 4 საათი – საკონსულტაციო. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად პირობები და ანაზღაურება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური ხელშეკრულებით. ამასთან იგი არ ეწინააღმდეგება სრული პროფესორის მინიმალურ დატვირთვას.

აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გ. ჟორჟოლიანმა და შენიშნა, რომ აღნიშნული წესი უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ ორი პროფესორისათვის, არამედ ეს უნდა იყოს ზოგადი ხასიათის. ამდენად მიზანშეწონილად მიიჩნია მიემართოს აკადემიურ საბჭოს რიგი შეკითხვებით. აღნიშნულ პოციზიას მხარი დაუჭირეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა წევრებმა.

აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: კ. ლორიამ, გ. გალდავამ, შ. სამსონიამ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ნ. ლაცაბიძემ. ლ. ბენიძემ.

წარმომადგელობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, კენჭისყრაზე დადგა საკითხი, რათა აკადემიურ საბჭოს მიემართოს შემდეგი ხასიათის შეკითხვებით:

ა) რა კრიტერიუმი და საფუძვლები არსებობს ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის;

ბ) რამდენად შესაძლებელია ამ კრიტერიუმების საფუძველზე ყველა მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

მიემართოს აკადემიურ საბჭოს ზემოთაღნიშნული შეკითხვებით. აკადემიური საბჭოდან პასუხის მიღების შემდეგ საკითხი განმეორებით იქნას განხილული.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე წარმოდგენილია "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №25/2010 დადგენილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №25/2010 დადგენილება.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №26/2010 დადგენილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №26/2010 დადგენილება.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილება.

6. წარმომადგელობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოს დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №28/2010 დადგენილება.

აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა შოთა სამსონიამ და აღნიშნა, რომ დადგენილებაში, სხვა ფაკულტეტებისაგან განსხვავებით, არაფერია ნათქვამი დანამატის შესახებ და ითხოვა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება.

პერსონალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათელა ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს 2010 წლის №28/2010 დადგენილების მე-2 პუნქტი ითვალიწინებს სახელფასო დანამატის განსაზღვრას შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, როგორც ეს განხორციელდა წინა თვეებში ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოს დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №28/2010 დადგენილება.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №29/2010 დადგენილება.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №29/2010 დადგენილება.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია "აკადემიური საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 233-ე, 2010 წლის 10 მარტის 25-ე, 26-ე და 27-ე დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №32/2010 დადგენილება.

№32/2010 დადგენილების მიხედვით, ზემოთაღნიშნულ დადგენილებებში ნაცვლად მითითებული "გარდა სხვა უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა", დაფიქსირდა "გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწნებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა".

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 18;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "აკადემიური საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 233-ე, 2010 წლის 10 მარტის 25-ე, 26-ე და 27-ე დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის №32/2010 დადგენილება.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი ცირა ბარამიძე